სამშაბათი, 17 ივლისი 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 154

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ მოზრდილი დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

„ისრი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ზვედრ ფულს. პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. ტფილისს გარედ—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარედ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

## ახლად მოწყობილი სტამბა „იდეალი“

ელექტრონით მსწრაფლ-მბეჭდავი.

მიიღება ყოველგვარი საქმე რუსულ და ქართულ ენაზე.

ფასები ზომიერია

ასრულება სუფთად და კოხტად.

ადრესი: ნიკოლოოზის ქუჩა, № 6. (სტ. 0—2)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—15)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—88)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი —7 საათზე. ვერა. ოლგას ქუჩა, № 25. (0—136)

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ქუთაისში**

ექიმი მაჭრიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—44)



## სამუშაო

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აილონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ადრესი: Тифлисъ. Николаевская улица, № 9. (50—6.—2)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდენკო**—შინ. სნეულ. კვირა 3—4 ს. 2—3 ს.

**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

**უბლამქაროვი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.

**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

**თეთრაძე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.

**ზოგოვსკი**—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.

**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.

**ექიმი ქალი იოსელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ნევშოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.

**გოროდცევი**—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.

**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—6 საათ.

**პიკარსკი** კლინიკური ანალიზი.

**ჩუდნოვსკი**ნერ., სულ., გიპოზი ყოველდღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—13)

საღორიის საზოგადო სასაფლაოს სამზრუნველო ქუთაისში

აცხადებს, რომ რადგან აქაურ საყარაულოს სახურავი ჩამოიქცა, ახალ საყარაულოს აშენებამდე სამზრუნველოს არ შეუძლიან შეინახოს გარდაცვალებულებზე დადებული გვირგვინები და ამიტომ მოითხოვს, რომ პატრონებმა **ორი კვირის განმავლობაში** წაიღონ ისინი, ხოლო ვინც გვირგვინებს არ წაიღებს, ისინი სამუდამოდ დატოვებულად ჩაირიცხება და გაიყიდება, ანუ მოისპობა, ხოლო ანაღები ფული მოხმარდება სასაფლაოს გაუმჯობესებას. (1—კვ.—1)

კვირას 22 მკათათვეს **გამოვა** ყოველ-კვირეული ქართული სამეცნიერო-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-ეკონომიური გაზეთი

## „ქარიშხალი“

ცალკე №-რი ფასი 6 კაპ. ხელის მოწერა არ მიიღება. ვთხოვთ ყველას, ვინც მოისურვებს თავ-თავის დარგში თანამშრომლობის, მასალები დროზე გამოგვიგზავნონ.

ადრესი: Тифлисъ Семеновская ул. № 4. типографія „Надежда“ редактору газеты „Каришхали“. (2—უ.—2)

## იყიდება

უფულობის მიზეზით

ბაკალეინის და სასმელების

დუქანი და ფურნე

ადრესი: დიდუბე, ელისაბედის ქუჩა, სახლი ხოჯამიროვისა, დუქანი ტატმანიანცისა. (2—209—1)

**მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა** და **ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანი** გულითად მადლობასა სწირავენ ყველას, ვინც კეთილ ინება და გამოუცხადა მათ თანაგრძნობა დაუვიწყარისა და ძვირფასის დედისდის **ნინო ვასილ ის ასულის ფონგერშელმანის** გარდაცვალების გამო. (1—208—1)

გამოვიდა და იყიდება

## ა. საჩუელისა

ახალი წიგნი

სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში·

წიგნი ღირს 20 კ. და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების“ და „Новая Рѣчь“-ის მაღაზ. (0—უ.—9)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

ტფილისში

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

**მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფების.**

**მაწეილ ბაბაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. კიმონძე:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**ბ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

**ა. ნ. თუმანოვა:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ —90)

ტფილისი, 17 ივლისი

შინაგან საქმეთა მინისტრმა კვლავ არ მისცა ნება კონსტ.-დემოკრატიულს პარტიას, მოახდინოს პარტიული კრება რუსეთში. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ გვისურათებს დღევანდელ პოლიტიკურ მომენტს და გვიჩვენებს მიზანს, საითკენაც მიაქანებს რუსეთს რეაქცია.

კონსტ.-დემოკრატიულმა პარტიამ ამ ერთის წლის განმავლობაში დიდი ევოლიუცია განიცადა. მართალია, მის პროგრამაში ცვლილება არ მომხდარა: პარტია ისევ მომხრეა სრულის პარლამენტარიზმისა და ფართო აგრარულ რეფორმისა, ე. ი. იმ ორ პუნქტისა, რომელნიც უფრო აშინებენ რეაქციონულ მმართველ წრეებს. მაგრამ პარტიამ თვალსაჩინოდ შესცვალა თავისი ტაქტიკა, თავისი მეთოდი მთავრობასთან ბრძოლისა, რაც დღეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროგრამა, რასაც მთავრობის თვალში მეტი ფასი უნდა ქონდეს. სწორედ უკანასკნელ წლის განმავლობაში კონ.-დემოკრატ. პარტიამ მრავალი საბუთი მისცა მთავრობას იმის დასამტკიცებლად, რომ იგი მტკიცედ სდგას ლეგალურს ნიადაგზე, მზადაა კიდეც მხარი დაუჭიროს მთავრობის ზომიერ ლიბერალურ კანონებს და, საერთოდ, არ გასცილდეს კანონიერს ზომიერს საოპოზიციო ბრძოლას. მეორე სათათბიროში კადეტებმა აშკარად გასწყვიტეს ყოველივე კავშირი მემარცხენე ჯგუფებთან, ებრძოდნენ მათ და ცდილობდნენ ზომიერ საკონსტიტუციო ცენტრის დაარსებას. პირველ სათათბიროს არსებობის დროს, როცა უკიდურეს მემარცხენეთა ჯგუფი ერთობ მცირე იყო, კადეტები უფრო მჭიდროთ იყვნენ შეკავშირებულნი სარევოლიუციო ელემენტებთან, ვიდრე მეორე სათათბიროში, სადაც მემარცხენენი მძლავრ ბანაკს შეადგენდნენ. მაშინ კადეტთა ტაქტიკა სულ სხვა იყო: იგი შეურიგებელ ოპოზიციას ადგა, მოითხოვდა მთავრობის გადადგომას და მართვა-გამგეობის საქმის გადმოცემას თავის ხელში. როცა სათათბირო დათხოვნილ იქმნა, კადეტები უკიდურეს მემარცხენეებთან ერთად ვიბორგს გაემგზავრენ და იქ გამოსცეს ცნობილი „მოწოდება ხალხისადმი“. მას შემდეგ, როგორც ვთქვით, კადეტთა ტაქტიკა ძირიანად შეიცვალა და ახლა ყველასათვის აშკარაა, მათ შორის მთავრობისათვისაც, რომ ეს პარტია მეორედ ასეთ „სიგიჟეს“ აღარ ჩაიდენს, მეორედ აღარ გაიწვევს ხალხს საწინააღმდეგოთ და უკიდურესებს არ აჰყვება. ეს მან ნათლად დაამტკიცა მეორე სათათბიროში, სადაც პირდაპირ ოპორტუნისტულ მოღვაწეობას მიზდევდა და მთავრობასთან ერთად საკანონმდებლო მუშაობას ეწეოდა. რა განსხვავებაა იმ დროსთან, როცა კადეტებიც წინააღმდეგნი იყვნენ სათათბიროში ეგრედ წოდებულის ორგანიულის მუშაობისა და დამფუძნებელ კრების მოწვევისთვის იბრძოდნენ!..

ერთის სიტყვით, პარტიამ ბოლო წელს სავსებით დაამტკიცა, რომს საერთო არა აქვს-რა რევოლიუციას მას, რომ მომხრეა კანონმდებლობისა და სწამს, რომ ახლანდელ მთავრობასთან მუშაობით შეუძლია რუსეთის განახლება თან დათანის და ხანგრძლივის საპარლამენტო მოღვაწეობით. ასეთი პარტია ლეგალური და შესაწყნარებელი იქნებოდა და არის ყველა საკონსტიტუციო სახელმწიფოში, რაც უნდა ჩამორჩენილი იყოს იგი. მაგრამ რუსეთში ამ პარტიას არც დაკანონება ეღირსა, არც შეწყნარება და დღეს კრების მოხდენაც-კი აუკრძალეს. როგორ უნდა ახსნას ხალხმა და მთელმა ევროპამ მთავრობის ასეთი მოქცევა პარტიასთან, რომელიც ძირითად კანონების ნიადაგზე სდგას, რევოლიუციას ებრძვის და ზომიერ ლიბერალურ პოლიტიკას აწარმოებს; რომლის დანაშაულობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ 17 ოქტომბრის აქტი კანონად მიაჩნია?

ერთად-ერთი ახსნა ამ გამოცანისა ის არის, რომ თვით მთავრობა, დღევანდელი მმართველი წრეები წინააღმდეგნი არიან ახალის წესწყობილებისა, იმ ძირითად კანონებისა, რომელთაც შემოიღეს რუსეთში „თვითმპყრობელი კონსტიტუცია“. აშკარაა, რომ რეაქცია არ ფიქრობს დღევანდელს წერტილზე შეჩერდეს და არ კმაყოფილდება 3 ივნისს მოხდენილის coup d'état-ით. ასე რომ იყოს, ე. ი., მთავრობას მართლა რომ სურდეს 20 თებერვალს გამოცემულ ძირითად კანონების კონსტიტუციის დაცვა, მაშინ იგი ხელს არ ჰკრავდა კ.-დემოკრ. პარტიას, რომელსაც მართლა შეუძლია თავიდან აიცილოს რუსეთს აბობოქრებული „შავი საფრთხე“. პირიქით, მთავრობა თან და თან უფრო ახდილათ და თამამად გადადის „შავ საფრთხის“ მხარეზე, რომელიც აღარ ჰფარავს თავის მახლობელ მიზანსა და განზრახვათ. „სათათბიროს შექმნა შეცდომა იყო“-ო, ყვირიან რეაქციონერები; „ვიტტეს ქუჩისა შეეშინდა და ამიტომ გამოსცა 17 ოქტომბრის ხარტია“-ო, თორემ რუსეთს არც უნდოდა და არც უნდა დასავლეთ ევროპისებური კონსტიტუციაო. ამავე აზრისაა სტოლიპინის სამინისტროც და ამიტომ სრულებით არაა გასაკვირველი, რომ იგი სდევნის კონსტ.-დემოკრატთა პარტიასაც-კი.

## ახალი ამბავი

✦ **ახალი ბრძანება ტფ. გენ.-გუბერნატორისა.** გაზეთ „კავ.“-ის კვირის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ახალი ბრძანება ტფ. გენ.-გუბერნატორისა: „რადგან მკვლელობანი და დაჭრა-დაჩეხა არა კლებულობს, ვავალებ პატრულებს და პოლიციას: იმ შეპყრობილ პირთა წინააღმდეგ, რომელთაც აღმოაჩნდებათ უმოწმობოდ იარაღი და რომელნიც სულ მცირე წინააღმდეგობას გასწევენ, გაქცევას და იარაღის ხმარებას მოისურვებენ, იმოქმედონ როგორც ცივის, ისე ტყვიის იარაღით, ამა თუ იმ გარემოების მიხედვით. ის პირნიკი, რომელნიც მახლობლად აღმოჩნდებიან და დამნაშავეთა შესაპყრობად დახმარებას არ გასწევენ, შეპყრობილ იქნან ადმინისტრატიულის წესით პასუხის გებაში მისაცემად, როგორც დამნაშავეთა დამფარველნი და დამხმარებელნი. ამას გარდა იმ სახლებს და დუქნებს, რომელნიც დანაშაულობის ჩადენის ადგილის მახლობლად აღმოჩნდებიან, განსაკუთრებულ იმ სახლებს და დუქნებს, რომლებშიაც დამნაშავენი დაიმალებიან, დაედებათ იმდენი ჯარიმა, რამდენიც საკმაო იქნება მეტ მეეზოვის ან სტრაჟნიკის დასაქირავებლად“.

✦ **პოლკ. ნეიგებაუერის დაბრუნება.** პეტერბურგიდან ტფილისში უკვე დაბრუნდა ამიერ-კავკასის რკინის გზის სამხედრო უფროსი პოლკ. ნეიგებაუერი.

✦ **მძარცველთა ბრბო.** მუშტაიდში შემდგარა მთელი ბრბო, რომელიც ათას სისაძაგლეს სჩადის თურმე. 15 ივლისს, ღამის ასე 11 საათზედ ეს ბრბო 12 კაცისაგან შემდგარი, გამვლელ-გამომვლელთ ჩასაფრებია მინასალ სასმელების დუქანთან, გაუჩერებიათ ეტლი და იქ მყოფნი გაუჩხრეკიათ. მგზავრების პროტესტზე უცნობთ განუცხადებიათ, ჩვენ საიდუმლო პოლიციის წევრნი ვართო. ბრბოს გაჩხრეკის შემდეგ ეტლში მჯდომნი გაუცარცვამთ. გამოუვლია მეორე ეტლს და იმისთვისაც იგივე დღე დაუყენებიათ. შემდეგ ჩასულან მინასას დუქანში. მედუქნესათვის, როგორც თვითონ განაცხადა, წაურთმევიათ ფული, შემოუხსნიათ ქამარი, იმის მოხუცებულ ძმისათვის გაუტეხიათ თავი, გაუცარცვნიათ აგრეთვე დუქანში მყოფნი და შემდეგ შესდგომიან დუქნის აკლებას. მედუქნეს ბიჭი ბოქაულთან უფრენია. მალე მოსულა ბოქაული პოლიციელებიაურთ, რომელსაც დაუპატიმრებია სამი კაცი, დანარჩენნი მიმალულან.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** აეკრძალათ ტფილისის გუბერნიაში ცხოვრება ს. ტერ-ყაზაროვს, ი. ბელიოკს და დარია არხიპოვისას. ათი თუმნით დაჯარიმებულ იქმნა ტფილისის მცხოვრები სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი ალალაროვი, რომელმაც ხელი არ შეუშალა და ნება მისცა თავის შვილს მეჯიდ-ბეგ ალალაროვს თოფის სროლა ეტეხა. ამასთან თოფიც უნდა ჩამოერთვას ალალაროვს.

✦ **ილია ზარაფიშვილი.** შარშან თელავში შეიპყრეს ილია ზარაფიშვილი. ტფილისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, იგი ჩრდილოეთში უნდა გადაესახლებინათ, მაგრამ შემდეგ ნება დართეს საზღვარ-გარედ წასულიყო. ზარაფიშვილი სპარსეთში წავიდა. ეხლა ზარაფიშვილს ნება დაერთო დაბრუნდეს ტფილისის გუბერნიაში, სადაც, თელავის მაზრის გარდა, ყველგან შეუძლიან ცხოვრება.

✦ **ჩასაფრება.** სოფ. აცანისა და ლანჩხუთ შუა, როგორც სააგენტოს დეპეშა გადმოგვცემს, ტერრორისტა ბრბო ჩასაფრებია ბოქაულს მაკიევს. ბოქაულს სამი კაზაკი და ორი სტრაჟნიკი ახლდა. საფარიდან ათჯერ ესროლეს. ბოქაული უვნებელია. ერთი სტრაჟნიკი მოკლულია. ქუთაისში დანით მძიმედ დასჭრეს სამხის მღვდლის ქვრივი.

✦ **ი. კარგარეთლის დაბრუნება.** ტფილისში უკვე დაბრუნდა ოდესსიდან ი. კარგარეთელი. როგორც თითონ ოპერაციამ, ისე ოპერაციის შედეგმა კარგა ჩაიარა. არტისტი ფეხზე დადის, მხოლოდ ცოტა კოჭლობს და, ამას გარდა, მარჯვენა ხელს ვერა ხმარობს და მარცხენაც ცოტათი დახუთული აქვს. როგორც ექიმებს აუხსნიათ, ეს შედეგი ყოფილა ხანგრძლივის წოლისა და შემდეგში ავადმყოფი სრულიად განიკურნება. კარგარეთელი ძალიან მადლობელია იმ პროფესორისა, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა. საზოგადოდ, არტისტს დიდის მზრუნველობით ეპყრობოდნენ თურმე.

✦ **მასწავლებელთა შტატი ტფ. სათ.-აზნაურო გიმნაზიაში.** ტფ. სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელთა შტატი ჯერ არ არის სრულიად შემდგარი. მასწავლებლობაზე სურვილი ბევრმა განაცხადა. ამ დღეებში გამგე კომიტეტსა და გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს თათბირი ექნება კანდიდატთა თხოვნების განსახილველად.

✦ **გაზეთი „მშაკი".** სომხურ გაზეთ „მშაკის" რედაქცია გაზეთის გამოცემას განაახლებს 15 აგვისტოს.

✦ **ავლაბრის პროგიმნაზია.** ავლაბრის პროგიმნაზიას აქამდე შესაფერი შენობა არა ჰქონდა. დაქირავებული შენობა არა ჰყოფნიდა პროგიმნაზიას? ინსპექტორის მეცადინეობით, სასწავლებლისათვის შეიძინეს ტფ. სავაჭრო სკოლის შენობა. ხაზინამ ამ შენობისათვის გადასდო 65,000 მან., რასაც ტფ. ქალაქის გამგეობა ნაწილ-ნაწილ გადაიხდის. პროგიმნაზია ახალს შენობაში მომავალ კვირაში გადადის.

✦ **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში დაიბეჭდა წერილი რედაქციის მიმართ ბ-ნ აჭუასი. ამ წერილში შეცდომა შეპარულა. დაბეჭდილია: „შვილდა ეს კარგად იცოდნენ გადასახლებულთ". უნდა იყოს: „შვილდა ეს კარგად იცოდი, გადასახლებულთ".

✦ 15 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ვორონცოვის ქუჩაზე ელექტრონის ვაგონი დაეტაკა კურინის პოლკის ტყვიის მტყორცნელ როტის ტაჩკას, რომლითაც სალდათები ყაზარმაში მიდიოდნენ ბურისთვის. ვაგონმა ტაჩკა განზე გადაისროლა და ძლიერ დააზიანა. ტაჩკიდან გადმოვარდნილი სალდათები ბურჟინენკო და ფეკულინი დაშავდნენ. ორივე საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 15 ივლისს გატარცვეს გლუხოვსკის ბაღის მოიჯარადრე ალექსანდრე ბარამიძე. წაიღეს 900 მანეთი.

✦ ტფილისში ჩამოვიდნენ ბაქო-ბალაჯრის გზით ეკატერინოსლავის ქალაქის სკოლის მოსწავლენი, 24 კაცი. მოსწავლენი დაათვალიერებენ ტფ. შესანიშნავ ადგილებს და მერე ბათუმისაკენ გაემგზავრებიან.

✦ 15 ივლისს, საღამოს 10 საათზე, მუშტაიდში მიმავალ იაკობ ბელოხვოსტოვს ჯიბგირმა 60 მან. ამოსტაცა. ჯიბგირი მიიმალა,

✦ 15 ივლისს საღამოთი ალექსანდრეს ბაღში მიმავალ პორუჩიკის ბუზმენოვის ქვრივს თავს დაეცა 5—6 ბიჭი. წაართვეს საფულე 39 მან. 75 კ. ტალონით. საფულეში იყო 2 მან. მცარცველები მიიმალნენ.

✦ შაბათს, 14 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე, ერევნის მოედანზე ელექტრონის ვაგონში მჯდომ მარიამ ფესენკოს ჯიბიდან 100 მან. ამოაცალეს. პოლიციის გამოკვლევით, ერთი ჯიბგირი აღმოჩნდა ალექსანდრე ტერ-ოჰანეზოვი, რომლის დასაპატიმრებლად პოლიციამ ზომები მიიღო.

✦ პოლიციის ბე-8 ნაწილში, ამატუნის ქუჩაზე 15 ივლისს მეპურეს გალუსტა მარკოლიმეს დუქანში შევარდა 6 შეიარაღებული კაცი და ფული მოსთხოვა. წაიღეს 175 მან. წაართვეს აგრეთვე ვერცხლის ქამარი.

✦ 15 ივლისს, შუადღის 12 საათზედ, ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებ ტფ. სატეხნიკო სასწავლებლის მოსწავლემ ვალერიან მიხაილოვმა რევოლვერით თავი მოიკლა. თავის მოკვლის მიზეზი არ არის გამორკვეული.

# პრესსა

მთავრობის გაზეთმა „როსსია"-მ გამოთქვა თავისი და ამასთანავე მთავრობის აზრიც პროფესიონალურ საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ:

> მაშინ როდესაც ერთნი პროფესიონალურ ორგანიზაციებს სთვლიან ისეთ საშვალებად, რომელიც ხელს უწყობს მუშათა საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტის საქმეს, მეორენი აფასებენ მათ იმდენად, რამდენადაც ეს კავშირები გამოსადეგია პოლიტიკურ ბრძოლისათვის. ამ უკანასკნელ მხრით პროფ. კავშირები საშიშია სახელმწიფოსათვის, რადგან მათში ადვილად მოიკიდებს ფეხს პოლიტიკური ბრძოლის პროპაგანდა.

ამიტომაო, დაასკვნის გაზეთი, სახელმწიფო ერთის მხრით უნდა ცდილობდეს საპროფესსიო კავშირების დაარსებას, რადგან სოციალურ ბრძოლაში ეს კავშირები მშვიდობიან როლს ასრულებენო, მეორეს მხრით-კი უნდა სდევნიდეს მათ, როგორც ისეთ საზოგადოებათ, სადაც ადვილია პოლიტიკურ ბრძოლის გაჩაღება; მით უმეტეს ჩვენს დროში, როცა რევოლიუცია ჯერ სავსებით ჩაქრობილი არ არისო... ფრიად დამახასიათებელია ბიუროკრატიის გზა-დაბნეულობისა ეს ერთის მხრით დაარსებისთვის ზრუნვა და მეორეს მხრით დევნა. „ერთის მხრით" საჭიროა და აუცილებელიცაა საპროფესსიო კავშირები—მათი აღმოფხვრა მთავრობას არ ძალუძს არავითარის ძალ-მომრეობით, რასაც თვითონაც ხედავს; მაგრამ რა ქნას, როცა ეს კავშირები პოლიტიკას გვერდს ვერ უხვევენ?! ვერც „როსსია" და ვერც მთავრობა ვერ ხედავენ, რომ ამ წინააღმდეგობის მოსპობა მხოლოდ ნამდვილ პოლიტიკურ თავისუფლებას შეუძლია.

* *
*

„ნოვ. ვრ."-მ ფარისევლური ცრემლები დაღვარა იმის გამო, რომ „ვერაგულად მოსპეს კორეის დამოუკიდებლობა". იაპონია მოხერხებულად ასრულებს თავის [illegible]ს: მთელის აზიის დაპყრობასო; [illegible] მთელი ევროპა სდუმს და სიმხ[illegible] გულხელდაკრიფილი შესცქერი[illegible] [უსამ]ართლობასაო... იგივე „ნოვ. ვრ." [ერთ დრ]ოს თვის აქეზებდა რუსეთის მთავრობას: [შო]რეულ აღმოსავლეთი უნდა დავიპყროთ და მშვიდ ოკეანესაკენ ფართო გზა უნდა გავიკაფოთო. მაშინ არ აგონდებოდა „უზენაესი სამართლიანობა" და არც კორეელების შებრალება ჰქონდა... ასეთია ბუნების ლოგიკა: როცა მე მოგტაცებ ცოლს—ეს კეთილია, როცა შენ წამართმევ—ეს ბოროტებააო...

* *
*

ამას წინად ვწერდით, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტია (პ. პ. ს.) ბოიკოტს უცხადებს მომავალ არჩევნებს. ახლა რუსული გაზეთები იტყობინებიან, ეს ხმა მართალი არ გამოდგაო და პ. პ. ს.-იც იღებს მონაწილეობას არჩევნებშიო. გაზეთებში ჯერ არავითარი ცნობა არაა იმის შესახებ, თუ რით აიხსნება ეს სენსაციური ამბავი? რა მოსაზრებებმა აიძულეს ეს შეურიგებელი სარევოლიუციო პარტია, რომელიც ბოიკოტის ტაქტიკას ადგა პირველ და მეორე სათათბიროს არჩევნების დროს? ალბად ამის მოტივებს შემდეგ გვაცნობებენ; ახლა კი აღვნიშნავთ, რომ ასეთ დადგენილებას შიშის ზარი დაუცია ყველა პოლონურ პარტიებისათვის. „რეჩ"-ის ვარშაველი კორესპონდენტი სწერს:

> დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვარშავაში ცნობამ, რომ პოლ. სოც. პარტია ბოიკოტზე უარს ამბობს და არჩევნებში გამოდისო. ეს გარემოება ყველას აფრთხობს, რადგან პ. პ. ს. ერთობ ძლიერი ორგანიზაცია არის. ნამეტურ შეშინდნენ ნაციონალური დემოკრატები, რადგან კარგად იციან, რომ პ. პ. ს. ბევრად უფრო ძლიერია ს.-დემოკრატებზე, რომელთა ჯობნება ნაც. დემოკრატიას არ გაუჭირდებოდა... პ. პ. ს. უძლიერესი სოციალისტური პარტია არის პოლონეთში და ამასთანავე ისეთი, რომელიც ეროვნულს ნიადაგზე სდგას; ჰყავს დიდძალი მომხრე ინტელიგენციაში და წვრილ მემამულეებში; მუშათა ორგანიზაციებიც ამ პარტიას ბევრად უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე ს.-დემოკრატიას. მაგრამ მთავარი ძალა პარტიისა გლეხობა არის; აქ ის განუყოფელად და მარტოდ მარტო ბატონობს...

# პროვინციის ცხოვრება

**ს. ფლავი (გორის მაზრა).** 4 ივლისს რვა შეიარაღებული კაცი თავს დაეცა აზ. მიხაილ მაჭავარიანს და მოსთხოვა ფული. როდესაც უარი მიიღეს, მსუბუქად კლავში დასჭრეს მაჭავარიანი. შემდეგ გაიტაცეს ყველაფერი, რაც ხელში მოჰყვათ. ლოგინიც-კი წაიღეს. ეს ამბავი ეცნობა ადგილობრივ ბოქაულს, რასაც შედეგად მოჰყვა მაზრის უფროსის თანაშემწისა და კაზაკების მოსვლა. მოითხოვეს სურსათი, რაიც სწრაფად იქმნა დაკმაყოფილი. მოსთხოვეს სოფელს აგრეთვე ყაჩაღების აღმოჩენა. ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ, ხალხმა მისცა ორი კაცი, რომელნიც იქავე შეიპყრეს. ეს ორნი ცემის შემდეგ გამოსტეხეს. მათ გასტეხეს ექვსი ამხანაგი. შეპყრობილნი თოკებით შეკრულნი გაგზავნეს გორის სატუსაღოში. **ზალიამე.**

—

**დ. ყვირილა.** ვინაიდან უოველ სახელმძღვანელოების მოვნა თავის დროზე წიგნის მაღაზიებში ვერ ხერხდება და ეს ნაკლი დიდად აფერხებს სწავლის საქმეს, ამიტომ შორაპნის მაზრის მასწავლებელთა ერთ ჯგუფს გადაუწყვეტია, გახსნას საამხანაგოდ ყვირილაში წიგნის მაღაზია. როგორც გავიგეთ შეუმუშავებიათ პროექტი წესდებისა და ამ დღეებში შეიკრიბებიან კიდეც ნატარიუსთან დასამტკიცებლად.

როგორც გავიგეთ, ამ დღეებში გაანთავისუფლებენ ა. საყვარელიძეს, ვ. ავალიანს და ს. ჟღენტს, რომელნიც ამას წინად ჟანდარმთა როტმისტრის განკარგულებით დააპატიმრეს.

როგორც მოგეხსენებათ, წარსულს ზამთარში ყვირილის მეორე ხიდი აკავეს. მიზეზად ის დაასახელეს, ვითომ ხიდი დაზიანებული იყოს. წინადადება მისცეს შეკეთეთ და შემდეგ გვხსნითო. ეხლა, როდესაც ვაჭრებმა განიზრახეს ხიდის შეკეთება, მოვიდნენ სტრაჟნიკები და ხიდის ერთ თავში მიაჭრეს ბოძები. რის გამოც თავი წყალში ჩაწვა. ამ რიგად ხიდი, ღირებული 4000 მან., წყალს გაატანეს, როგორც ხმა დადის ვაჭრებს სხივარი დაუწყიათ ზარალის ადსადგენად. ხიდის დაქცევაში რამოდენსამე ვაჭარსაც მიუღია მონაწილეობა.

შავი ქვის ზიდვა შესამჩნევად შეჩერდა. წინად 30 მრეწველამდე იყო, დღეს ათიოდე-ღა დარჩა. როგორც ამბობენ, ვეღარ გაუძლეს საქმეს და თავი მიანებეს მრეწველობას.

როგორც გადმოგვცეს, ყვირილის საბოქაულოს ყველა სოფელს შეუდგენია სია იმ ფულისა, რომელიც ქრთამათ მიუციათ სოკრატ აბაშიძისა და კომპანიისთვის! თითეულ სოფელს ცალკე შეუდგენია თხოვნა. ზედ ხელს აწერენ ქრთამის გამღებნი. ქრთამის საერთო ჯამი, როგორც სოფლელნი ანგარიშობენ 20.000 მან. უდრის. მაზრის უფროსი **მანსვეტოვი** მხნედ შეუდგა ქრთამების ამღებლების საქმის გამორკვევას.

როგორც გავიგეთ, სტრაჟნიკებისაგან ადგენენ მფრინავ რაზმს (лѣтучая команда), რომლის მეთაურადაც ცნობილ ბესარიონ სებისკვერაძეს ასახელებენ. რაზმმა სოფელ-სოფელ უნდა იაროს. **მეთვალყური.**

**ს. კახი. (საინგილო).** [წ]ლეულს გაზაფხული, როგორც აქაურები ამბობენ, კაკში და, საზოგადოდ, მთელს საინგილოში საშინელი სიცხეები და გვალვაა. აგერ სამი თვე სრულდება, [illegible] წვიმა არ დასულა აქაურობას. [illegible] მრავალი ნათესი [illegible] ფეტვი, რომელიც გაზაფხულზედ ითესება და რომელიც შეადგენს ინგილოთა ღარიბ ნაწილის საზრდოს მთელის წლის განმავლობაში, მიწაშივე ჩახმა და მოისპო. პური მოსავალიც ძალზედ ცუდია, ზოგან მოვიდ, ზოგან სულ არა. ალიაბათის ნაწილში მაგალითად, მთელი სოფლებია, სადაც პურმა სრულიად არ გაიკეთა თავთავი და მთელი წლის სარჩოზედ ხელი დაიბანეს საბრალო ინგილოებს. უმთავრესი მიზეზი მოუსავლობისა, რასაკვირველია, უწვიმობაა, მაგრამ არც გაზაფხულის თაგვმა დააყენა ხეირი. გაზაფხულზედ მრავლად გაჩნდა ზოგიერთ სოფლებში თაგვი და ჯერ კიდევ ღეროგაუმაგრებელს ყანას ძოვნა დაუწყო. ერთის სიტყვით, [წ]ლეულს საინგილოს შიმშილი მოელის. ამას დაუმატეთ ისიც, რომ სამურის მაზრა დაღესტნის ოლქისა სულ აქედან იკვებება, აქედან მიაქვს მთელის წლის სარჩო პური და, თუ რასაკვირველია საინგილოში არაფერი არ მოვიდა, სამურის მაზრაც გასაჭირში ჩავარდება.

პურის ფასმა ამიტომ საშინლად მოიმატა: ფუთი ხორბალი იყიდება ორს მანეთად და მეტადაც, ქერი კიდევ ექვს აბაზად. **ფ. ელიკო.**

# მუშების ცხოვრება

**ბეჭდვითი საქმის მუშები მთელ დედამიწაზე.** მთელ დედამიწაზე არც ერთი დარგის მუშები არ არიან ისე შეკავშირებულნი და ისეთის ორგანიზაციებით მქონენი, როგორც ბეჭდვითი საქმის მუშები. ეხლახან პარიზში მოხდა ინტერნაციონალური კონგრესი ბეჭდვითი საქმის მუშათა ორგანიზაციებისა. როგორც ამ კონგრესისთვის გამოცემულ ანგარიშიდანა სჩანს, ორგანიზაციებში ყოფილა მთელის მუშების 67 პროცენტი, ანუ 191,650 მუშა. აქედან 140,000 მუშ[ა] დასავლეთ ევროპას ეკუთვნის. უკეთ ყოფილა მოწყობილი გერმანულ ქვეყ[ნებში] შვეციის ორგანიზაციებში ყოფ[ილა] [...] პროცენტი, ავსტრიაში—93 პრ., [...]ში—$89^1/_2$ პრ., გერმანიაში—82 [...] უფრო ჩამორჩენილნი არიან რომანუ[ლი] ქვეყნები: საფრანგეთში, მაგალითად, ორგანიზაციაში ყოფილა მხოლოდ 67 პროცენტი მუშებისა, იტალიაში—43 პრ[...], ბელგიაში—65 პრ. ნაღდი თანხა საკავშირო კასსებისა უდრის 18.268,880 ფრანკს. თითო მუშაზე მოდის ასი ფრანკი.

ქირა სხვა და სხვაა. ყველაზე ნაკლე[ბი] ქირა ესპანიაშია (15 ფრანკი კვირ[...]

---

# ფელეტონი

**ჰენრიხ ჰეინე**

იდეები *)

(თარგმანი გერმანულიდან)

თავი XV

ქალბატონო, თქვენ ლამაზ შუბლზე წყრომის მსუბუქ ღრუბელსა ვხედავ; თითქო მიჯავრდებით და მეუბნებით: განა ცოდვა არ არის, რომ სულელებს ამნაირად ეკიდებით, შამფურზე აგებთ, ჩხვლეტთ, ჰგლეჯთ და იმდენს ხოცავთ, რომ ბევრი შეუჭმელი და ბედურების მახვილ ნისკარტების კერძი რჩება, იმ დროს, როდესაც ქვრივ-ობლები ტირიან და ბღავიან შიმშილისაგანაო...

Madame c'est la guerre!**) ახლა ამ გამოცანას აგიხსნით: მე გონიერი ადამიანი როდი გახლავარ, მხოლოდ გონიერთა დასს მივეკედლე. უკვე 5588 წელიწადია, რაც ჩვენ უგუნურობას ვეომებით. უგუნურეს ჰგონიათ, რომ ჩვენ ისინი ცარიელ-ტარიელზე დავსვით; ამტკიცებენ, რომ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი ზომა, არც მეტი და არც ნაკლები, გონიერება არსებობს და ეს გონიერება გონიერებმა (ღმერთმა იცის რანაირად) მთლად მოიტაცესო; და როგორ არ შეძრწუნდება ზეცა იმის გამო, რომ ერთი კაცი ამდენ გონიერებას ხელთ იგდებს, და თავის თანა-მოქალაქეებს და გარეშეთ მთელ ქვეყანას სიბნელეში სტოვებს; და აი ეს გახლავს ომის იდუმალი მიზეზი ბრძოლა საბოლოო, სასიკვდილოა. გონიერები, რასაკვირველია, წყნარად, ზომიერად, ჭკვიანურად იქცევიან, თავის ძველ არისტოტელის ნაწერების ციხეში სხედან, იარაღი და საომარი ხელსაწყო ბლომად აქვთ, რადგან თოფის წამალიც თვით მათი მოგონილია და დრო გამოშვებით კარგა გატენილ ყუმბარებს ესვრიან თავის მტრებს, მაგრამ, საუბედუროდ, უკანასკნელნი ურიცხვნი არიან, გულსაკლავად ჰკივიან და ყოველ დღე სისაძაგლეს სჩადიან, რადგან მართლაც ყოველი სისულელე სისაძაგლეა გონიერისათვის. მათგან ომის გამოცხადება ხშირად ძლიერ ეშმაკურია ხოლმე. დიდი ჯარის ბელადები ბრძოლის იდუმალი მიზეზის გამხელას ერიდებიან. იმათ გაგონილი აქვთ რაც ერთხელ ვიღაცა მატყუარას უთქვამს, რომელიც ტყუილებში ისეთი გამოქნილი იყო, რომ ბოლო დროს ტყუილი დღიურის წერაც დაიწყო, სახელდობრ ფუქეს: „les paroles sont faites pour cacher nos pensées"***). და ახლა სიტყვების ქარხანა გააჩაღეს, იმის დამალვას ცდილობენ, რომ იმათ თავში ფიქრის ჭაჭანებაც არ არის; გძელ, გაჭიანურებულ სიტყვებს ამბობენ, მსხვილ წიგნებს სწერენ და ყური თუ დაუგდეთ, სულის-მაცხონებელ, მადლიან ფიქრთა წყაროს ქებაში არიან, სახელდობრ გონიერებას ამკობენ და, იმათ თუ დაუჯერეთ, სულ მათემატიკაში, ლოღიკაში, სტატისტიკაში, მაშინების გაუმჯობესებაში, სამოქალაქო გრძნობებში და ცხენების გასუქებაში გართული არიან და სხ. და როგორც მაიმუნი მით უფრო სასაცილოა, რაც უფრო მეტად ადამიანს ჰგავს, ეს სულელებიც მით უფრო სასაცილონი ხდებიან, რაც უფრო ჭკვიანურად ღმეჭენ თავის პირი-სახეს. დიდი ჯარის ზოგიერთი ბელადები გულახდილად გამოტყდებიან ხოლმე, რომ მათ სულ ერთი-ბეწო გონიერება შეხვდათ, ისე ცოტა, რომ არაფრად ჩასაგდებია და არაფრად გამოსაყენებელი, მაგრამ არ შეიძლება კი, რომ არა სთქვან, გონიერება მეტად მკვახე რამ არის და, რომ დაუკვირდეთ, ბევრად არაფრად დაფასდებაო. ისინი ეგებ მართალნიც იყვნენ, მაგრამ, საუბედუროდ, გონიერება იმდენად როდი შესწევთ, რომ ამის დამტკიცება შეიძლონ. ამიტომ ყოველ-ნაირ ღონესა და საშუალებას ხმარობენ ხოლმე, თავის თავში რაღაც ახალ ძალას გამოძებნიან, აცხადებენ, ეს ძალა გონებასავით მოქმედობსო დე ზოგ გასაჭირში მასზე მეტი შეუძლიაო, მაგალითად—გულ-კეთილობა, სარწმუნოება, აღფრთოვანება და სხვ. ამგვ. და ამ გონების სუროგატით, ამ საცოდავ გონიერებით ინუგეშებენ თავს. მე იმათ განსაკუთრებით ვძულვარ; ამტკიცებენ ჩვენი მოდგმისა არისო, მერე გვიმუხთლა, მტერს მიეკედლა და უწმინდესი კავშირი დაგვირღვიაო; ჯაშუშსაც მიძახიან, თითქო იმას ვზვერავდე, რასაც ეს სულელები ცოდვილობენ, რომ შემდეგ ისინი ჩემ მეგობრებს სამასხროდ ჩაუგდო ხელში: ამბობენ ჩემზე, იმდენად ბრიყვია, ვერ მიმხვდარა, რომ ამავე დროს თვითონ მას დასცინიან და თავის სწორად არას დროს არ ჩააგდებენო. მაგას კი სულელები ნამდვილ მართალს ამბობენ.

მართალია, ისინი თავის სწორად არ მაგდებენ, და ხშირად, როცა მახსენებენ, ჩუმად კისკისებენ ხოლმე. ეგეები კარგად ვიცი, მაგრამ ისე მიჭირავს თავი, თითქო ვერაფერს ვატყობდე. გული კი სისხლისაგან მეცლება, და მარტო რომ დავრჩები ხოლმე, ზედ ცრემლებსაც ვაწვიმებ. კარგად მესმის ჩემი გაჭირვებული მდგომარეობა: ყველაფერი, რასაც კი ვიქ, გონიერებს სისულელე ჰგონიათ, უგუნურებს კი—სისაძაგლე. მე ვძულვარ იმათ და ვგრძნობ ანდაზის სიბრძნეს: „ლოდი მტკიცეა, ქვიშა—მძიმეა, სულელთა წყრომა კი ყველასა სჭარბობს". უსამართლოდ კი არ შემიძულეს მე იმათ: სრული ჭეშმარიტებაა, რომ მე უწმინდესი კავშირი დავარღვიე, ღვთისა და სამართლის გულისათვის სულელებთან უნდა მეცხოვრა და მოვმკვდარიყავი—ოჰ! რა კარგად მოვეწყობოდი იმათთან! რომ დავბრუნებულიყავი, ისევ სიამოვნებით ჩამიკრავდენ გულში და თვითეულ ჩემ სურვილს თვალებში ამომიკითხავდენ; ყოველ დღე ჩაიზე მომიპატიჟებდენ და საღამოობით თავის საზოგადოებაში და კლუბში წამიყვანდენ — მათამაშებდენ ვისტს, თუთუნს მომაწევინებდე, პოლიტიკაზე ლაპარაკით გამართობდენ და, მთქნარებას რომ დავიწყებდი, ჩემ ზურგს უკან იტყოდენ: „რა საუცხოო გულის ადამიანია! ნამდვილი მორწმუნე კაცია!"... ნება მიბოძეთ, ქალბატონო, ერთი წვეთი ცრემლი შევწირო ჩემი გულის მღელვარებას... ოჰ, პუნშსაც იმდენს გადავკრავდი იმათთან, სანამ ჩემი სული ფრთებს არ შეისხამდა და მაშინ ეტლით წამიყვანდენ შინ, ძლიერ ეც[...] დებოდენ, რომ არ გავციებულიყავი; ზოგი ჩქარა ფოსტლებს მომაწოდებდა, ზოგი აბრეშუმის ხალათს, ზოგი—თეთ[რ] ღამურ ქუდს; პროფესორ-ექსტრაორდინარიუსად შემქნიდენ, ან რჯულის ა[ღ]მადგენელ საზოგადოების თავმჯდომარედ, ან მთავარ-მედავთრედ, ან არა დ[ა] რომის არხეოლოგიური სათხარის დირექტორად, რადგან სწორედ ყველაფერში გამოსადეგი კაცი ვიქნებოდი, ვინაიდგან ლათინურ ბრუნვის უდვლილებისაგან გარჩევა შემიძლია და სხვა სულიერებსავით პრუსიელ ფოსტალიონის ჩექმას ეტრუსკულ ვაზად ადვილად როდი ჩავდებ. ამას გარდა, ჩემი კეთილ[ი] გული, ჩემი აღფრთოვანებული სულ[ი] ბევრ სიკეთეს იზამდა, მეტადრე საკუთრად ჩემთვის; ჩემი საუცხოო პოეტური ნიჭი კარგ სამსახურს გამიწევდა მაღალ დღესასწაულებსა და ქორწილების დროს და ურიგო არ იქნებოდა, როდესაც დიდ ნაციონალურ ეპოსით შევამკობდი ყველ[ა] იმ გმირებს, რომელთა გახრწნილ გვამიდან, როგორც ახლა ნამდვილად ვიცით, ჭია-ღუები გამოძვრნენ და იმათი შთამომავლობით მოაქვთ თავი.

ბევრი ისეთი ადამიანი, რომელიც ს[უ]ლელად არ დაბადებულა და ერთ დრ[ოს] გონიერებასაც არ იყო მოკლებულ[ი], სარგებლობის გულისათვის სულელ[ებს] შეეფარა და მათთან ნამდვილ ღორმუცელასავით ცხოვრობს; სისულელე, რომელსაც პირველად ასე თუ ისე ცოტ[ა]თი მაინც ებრძოდა, თანდათან ძვა[ლ]-რბილში გაუჯდა და ახლა მლიქვნელ[ა] კი არა, ნამდვილ მათ თანამორწმუნე[...]

---

*) იხ. „ისარი" № 143.

**) ომია გამოცხადებული, ქალბატონო, მთარ.

***) სიტყვების აზრების დასამალავად მოუგონებიათო. მთარგ.

ში), ყველაზე დიდი—შეერთებულ შტატებში (87,50 ფრანკი). სამუშაო დრო სხვა და სხვა, რვა საათიდან დაწყებული ათ საათამდე. აი პატარა ცხრილი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2,699 | კაცი | მუშაობს | 8 | საათს |
| 33,661 | „ | „ | $8^3/_4$ | „ |
| 135,849 | „ | „ | 9 | „ |
| 380 | „ | „ | $9^1/_2$ | „ |
| 4,239 | „ | „ | $9^3/_4$ | „ |
| 14,522 | „ | „ | 10 | „ |

ყველაზე პატარა სამუშაო დღე შეერთებულ შტატებშია. შტატებს მისდევს სამხრეთი აფრიკა, ავსტრალია, ინგლისი, შვეცია და შემდეგ სხვანი.

ბეჭვდითი საქმის მუშათა ორგანიზაციებს ყველგან დასავლეთ ევროპაში აქვთ ურთიერთი დამხმარებელი დაწესებულებანი — საავადმყოფოს, საგზაო, სამარხი და სხვა კასსები. პირიქით, ჩრდილოეთ ამერიკაში ასეთი დაწესებულებანი თითქმის სულ არ არის. საწევრო გადასახადი ერთნაირი არ არის. ყველაზე დიდი გერმანიაშია—ორი აბაზი კვირაში. საფრანგეთსა, ბელგიასა, იტალიასა და ესპანიაში აბაზზე ბევრად ნაკლებია.

1906 წელს ხანგრძლივი ბრძოლა გამოიარეს სტამბებში მომუშავეებმა. ყველაზე დიდი ბრძოლა იყო საფრანგეთში, სადაც სტამბის მუშები ცხრა საათის მუშაობას ითხოვენ. ეს ბრძოლა მუშებს დაუჯდათ 657,000 ფრანკად. აქედან 165,000 ფრანკი მათ საზღვარ-გარეთის ორგანიზაციებისაგან მიიღეს. ბრძოლა გამარჯვებით გათავდა. პარიზში ყველგან ცხრა საათის სამუშაო დღე დააწესეს და ქირასაც მოუმატეს. ამავე წელს გადაათვალიერეს სატარიფო ხელშეკრულობანი გერმანიასა, ბელგიასა, შვეიცარიასა და ნორვეგიაში.

—

**პარტიულ ნიადაგზე შეტაკების სხვერპლნი.** დეპეშას თითქმის ყოველ დღე მოაქვს გულ-შემზარავი ამბავი. ლოძში ესა და ეს მუშა მოჰკლეს პარტიულ ნიადაგზეო. ამის შესახებ ბევრი თათბირი და ლაპარაკი ჰქონდათ მუშებს, რამდენჯერმე გაჰკიცხეს ასეთი ჰლეტა-ხოცვა ამხანაგებისა, მაგრამ საქმეს მაინც არაფერი ეშველა: მკვლელობა არ მოისპო. როგორც „ტავარიშჩი" გადმოგვცემს, უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში პარტიულ ნიადაგზე მარტო ლოძში მოუკლავთ 127 მამაკაცი და 19 დედაკაცი, დაუჭრიათ 245 მამაკაცი და 19 დედაკაცი.

# რუსეთი

**✦ ბერების შემოსავალი.** მონასტრების ქონებრივი მდგომარეობა გამოიკვლია გაზ. „რუს. სლ."-ომ და შემდეგ საინტერესო ცნობებს გვაწვდის. 1902 წ. რუსეთში 862 მონასტერი ითვლებოდა, სადაც სცხოვრობდა 58 ათასი ბერი. 1881 წლიდან, ოცი წლის განმავლობაში, ბერების რიცხვი გაორკეცდა. 555 მონასტერს ჰქონდა თვითეულს 50—1000 დესეტინა მიწა; 78 მონასტერს—1000—10000 დესეტინა და 5 მონასტერს—ათი ათას დესეტინაზე მეტი. უკანასკნელი ხუთი მონასტრის მფლობელობაში იყო საერთოდ 116 ათასი დესეტინა მიწა. 648 მონასტერს ჰქონდა ნახევარი მილიონი დესეტინა მიწა; და ყველა 862 მონასტერს არა ნაკლებ 800 ათასი დესეტინისა. ეს მამული, ამ ოცი წლის წინად დაფასებით, ჰღირდა 50 მილიონ მანეთზე მეტი. მონასტრების წლიური შემოსავალი თავის მამულებიდან სულ ორმილიონ მანეთს უდრის. გარდა ამისა მონასტრებისა და ეპისკოპოსთა სახლების შესანახად ხაზინა ხარჯავს წლიურად $1^1/_2$ მილიონ მანეთამდის. მონასტრებს აქვს აგრეთვე ძნელად გამოსარკვევი შემოსავალი მლოცველებისაგან, ხელის-მოწერისაგან, დუქნებიდან, და ამგვარ სხვა და სხვა წყაროებიდან. ამ ოცი წლის წინად 167 მონასტერს ბანკებში შეტანილი და შენახული ჰქონდა შვიდ მილიონ მანეთამდე შემდგარი თანხა. საშუალო რიცხვით თვითეულზე მოდიოდა 40 ათასი მანეთი. დღეს ყველა მონასტერს შენახული აქვს 36 მილიონი მანეთი.

რამდენად დიდია მონასტრების ქონება, იმდენად მცირეა ბერების ქველ-მოქმედება. საშუალო რიცხვით ხუთ მონასტერზე მოდის ერთი საავადმყოფო 11 ავადმყოფით და ცხრა მონასტერზე—1 ღარიბ-მოხუცთა თავ-შესაფარი, სადაც 13 კაცი ცხოვრობს.

საინტერესოა აგრეთვე ბერების ჯამაგირების რაოდენობა. მოსკოვის მიტროპოლიტს ეძლევა ჯამაგირი 6 ათასი მანეთი, სასადილო ფული—4 ათასი, სახლების შემოსავალი—8 ათასი მანეთი, ჩუდოვის მონასტრის შემოსავალი—6 ათასი მანეთი, სერგეევის ლავრისა—12 ათასი, ივერიის სამლოცველოსი—45 ათასი; ასე რომ ყოველ წლიურად მოსკოვის მიტროპოლიტს შემოსდის 81 ათასი მანეთი. პეტერბურგის მიტროპოლიტს შემოსდის ყოველ წლიურად 259 ათასი მანეთი; კიევისას—307 ათასი მანეთი. ნიჟეგოროდისას—84 ათასი მანეთი.

ყველა ეს ცნობები დაახლოვებითია; ნამდვილად კი რასაკვირველია მეტი იქნება.

**✦ დაჯარიმებული შავ-რაზმელი.** ამას წინად მოსკოვში დააჯარიმეს ათასი მანეთით შავ-რაზმელ გაზეთის „ვეჩე"-ს რედაქტორი ოლოვენნიკოვი. ბედკრულმა რედაქტორმა თვალ-ცრემლიანი წერილი დასტამბა თავის გაზეთში და მიმართა თავის გულ-მტკივნეულ მკითხველებს დახმარებისათვის. მკითხველებმა შეუგროვეს 1100 მანეთი. ამ ბოლო დროს „ვეჩე" კიდევ ათასი მანეთით დააჯარიმეს. მადაამშილმა რედაქტორმა ისევ მიმართა ჩვეულ საშუალებას და ხელ-ახლად აუწერა მკითხველებს თავისი გაჭირვებული მდგომარეობა. მეორე წერილმა არ იმოქმედა მკითხველებზე და ამაო დარჩა.

**✦ პოლტავის გუბერნატორის განკარგულება.** ამ ჟამად სამხრეთ რუსეთის სხვა და სხვა ადგილს ადმინისტრაცია ყოველ ღონეს ხმარობს სოფლად მემამულეთა ადგილებში მომუშავეთა გაფიცვების აღმოსაფხვრელად. სხვათა შორის პოლტავის გუბერნატორმა შემდეგ საშუალებას მიმართა: განკარგულება გაუგზავნა საეროზო უფროსებს, რომლითაც ავალებს თვალ-ყური ადევნოს მუშათა შორის მოძრაობას და გაფიცვის დროს სამუშაოდან წარსული მუშები კანონის ძალით მოაყვანინოს პოლიციას და, როგორც მემამულესთან პირობის დამრღვევნი, ძალით ამუშაოს.

**✦ შეთქმულება ხელმწიფის წინააღმდეგ.** 9 ივლისს პეტერბურგის სამხედრო-საოლქო სასამართლოში მოიყვანეს ძლიერის რაზმით ოცი კაცი, რომელნიც სამართალში არიან მიცემულნი ხელმწიფის, დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და სტოლიპინის წინააღმდეგ შეთქმულობისათვის. ყველას საბრალმდებლო ოქმი ჩააბარეს. ბრალდებულთა შორის სამი ნაფიცი ვექილია: ფილდოროვი, ჩიპაროვი და ტარასოვი. სამხედრო სასამართლომ ამ მოკლე ხანში [illegible] ბრალდებულთა საქმე.

**✦ პატრიოტების ბანკი.** გაზ. „რეჩ"-ს ცნობით კიევში [illegible] ბანკი, სახელწოდებით „რუსთა ნაციონალური ბანკი", რომლის მიზანია კრედიტი გაუხსნას მართლმადიდებელ ვაჭრებს, [illegible] ხალხი ჩამოაცილოს. [illegible]

**✦ დევნილებული სიტყვა.** პოლონეთის გაზეთ „გაზეტა პოლსკა" [illegible] „ნოვ. ვრ." „კიევლიანინ"-ი და სხვები პოლონეთიდან მიღებულ კორესპონდენციებში ათავსებენ ვითომ და პოლონეთის გაზეთებიდან ამოღებულ სრულიად ყალბ ცნობებს; ხშირად ჰბეჭდავენ პოლონეთის საზოგადო მოღვაწეების სიტყვებს, სადაც ერთი სიტყვა არ არის მართალი, თავიდან ბოლომდის გამოგონილია. „პოლსკა გაზეტა" მოუწოდებს საზოგადოებას ებრძოლოს ამ საზიზღარ მოვლენას.

## თეატრი და ხელოვნება

**წარმოდგენა ფუნიკულერზე.** შაბათს, 14 ივლისს, ფუნიკულერზე ქართველ დრამატიულ დასმა წარმოადგინა 3 მოქმედებიანი დრამა კარეევისა: „ცხოვრების გმირი". წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. კარგად ისამაშეს ჩარკვიანმა და გამყრელიძემ. სხვები, ასე თუ ისე ხელს უწყობდნენ. როლის უცოდინარობა ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენ სცენაზე და აბლაც არ უღალატნიათ. საბრალო სუფლიორი, ხმა მაღლა იტყოდა, უყვიროდნენ—ნელაო, დაბლა იტყოდა—არტისტები იბნეოდნენ და იყო ასე ორ ცეცხლ შუა. ვურჩევთ ახალგაზდა არტისტ ქალებს, ქართულ ლაპარაკს უკედ მიეჩვივნენ, ამისთვის საჭიროა არა ოფიციალურ დროსაც იხმარონ ეს ენა.

ორიოდე სიტყვა გარეგნულ წეს-რიგზე. მართალია ფუნიკულერზე სათეატრო შენობა უხერხულია, მაგრამ იმისთანა ადგილას მით უფრო საჭიროა წეს-რიგი. ხმაურობას, უდროვო დროს სიცილ ხარხარს დასასრული არა ჰქონდა. ვიღაცას ძაღლიც შემოეყვანა. დრამატიულ მომენტს ძაღლმა ისეთი ყეფა ასტეხა, რომ დრამა კი არა, ყველას კომედიაც გადაავიწყდა.

მიკვირს თეატრის ადმინისტრაციის მოქმედებაც. ქართული გულ-უხვობა მოსაწონია, მაგრამ წრეს გადაცილებაც არ ვარგა. არავითარი კონტროლი არ იყო და მგონია ნახევარზე მეტი თეატრში უბილეთოდ ისხდნენ. გამოცხადებული იყო წარმოდგენა რვის ნახევარზე დაიწყებაო, ათის ნახევარზე-კი ძლივს დაიწყო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

გაზ. „ისრის" № 144-ში მოთავსებული იყო წერილი დიდი-ჯიხაიშიდან ჩემის აფთიაქის გაყიდვის შესახებ. მას აქეთ განვლო სრულიად სამმა თვემ, რაც მე პირობა გავეცი და კიდევაც შევპირდი დიდი-ჯიხაიშის საზოგადოებას, რომ თუ ისინი მსურველნი იქნებიან ჩემის აფთიაქის შესყიდვისა და შესაფერ ნებართვას მიიღებენ პრივილეგიის შესყიდვისას, იმ შემთხვევაში მე უნდა დამეთმო ჩემი აფთიაქი სამას თუმნად, წინააღმდეგ შემთხვევაში მე უნდა გადამეხადა ჯარიმა ორასი თუმანი. დღიდან ამა პირობის გაცემისა ხალხში მოხდა დიდი უთანხმოება, ლაპარაკობდნენ, რომ სრულიად თანახმანი არ არიან იყიდონ ჩემი აფთიაქი, რომ ეს განაჩენი, რომელიც დაადგინეს სასოფლო კანცელარიაში, მოხდა ხალხზედ ძალდატანებითო. ასე ამნაირათ ჩაითრიეს სოფელი ძველებურად, ბიუროკრატიულად **პრიგოვორში.** ეს მოხდა ამა წლის 18 მარტს, როდესაც რეაქცია იყო გაბატონებული. შემდეგ ამისა მიჰყვეს ხელი სოფლის ადმინისტრატორებმა ძალდატანებით ფულების მოგროვებას ჩემთვის, რომელსაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ჩემთან მოდიოდნენ სოფლის გლეხები საყვედურით და მუქარითაც; მელაპარაკებოდნენ, რომ ეგ სულ შენი ბრალიაო, შენ გვისევ [illegible] და სხვა. მეც შეშინებული ამით, ვაცხადებდი ყველასთან, რომ ყიდვა გაყიდვა ეგ ორივე მხარის სრული შეთანხმების აქტია და ძალდატანებით და მუქარებით აღებულ ფულს სოფლის გლეხებისაგან განსაკუთრებით იმ დროს, როცა [illegible] სის შიმშილისა და სხვა და სხვა გარემოებისა გამო, ჯიბეში ვერ ჩავიდებ მეთქი. ამან შემდეგ უფრო გაცხარდნენ ჩვენი ვითომდა სოფლის გულშემატკივარნი, მეტის მხნეობით შეუდგნენ ფულის მოგროვებას გლეხებისაგან, მაგრამ სრულად მაინც ვერ შეაგროვეს, ამიტომ დანარჩენი ფული ისესხეს კერძო პირებისაგან, რადგან მეტი დრო არ ჰქონდათ ვადის მოახლოვებისა გამო. მე პირობა მქონდა გაცემული რამდენისამე პირზე და ამ პირებმა მომიტანეს ეს ფული აღნიშნულ ვადაზედ. მე ნება არა მქონდა პირობის ძალით, იურიდიულად, უარი მეთქვა ამ ფულის მიღებაზე; ამისათვის ვთხოვე მათ, რადგან მინდა ხალხის წინაშე პირნათლად ვიყო, მოეცათ ჩემთვის ნება, ეს ფული მიმეღო ხალხის წინაშე ხალხის ნებართვით. ამაზედ იმათ უარი მითხრეს; სთქვეს: ხალხიც ჩვენა ვართ და ყველაფერიო. გასაკვირველია, რისთვისა სთქვეს უარი ხალხის შეკითხვაზე?! ამის შემდეგ მე არ ვიცი, რად დასჭირდათ სულიერ მამათ და მისს ამხანაგებს სამედიატორო სამართალში ჩემი გამოწვევა? ან კიდევ რად მოაგონდა სულიერ მწყემს აწ უკვე განსვენებული დიდი-ჯიხაიშის ქსენონი, რომელიც ორ წელიწად ნახევარია, რაც საზოგადოებამ თვითონვე დახურა?!

ჩემ მიერ გაცემულ პირობის შესახებ ვაცხადებ, რომ როდესაც ფული მომიტანეს, მე არც მაშინ მითქვამს უარი და არც ეხლა ვამბობ უარს და მტკიცედ ვადგივარ ჩემს პირობას, მხოლოდ ხალხი არ შეწუხდეს და ხალხის სურვილი იყოს. თუ აუცილებელ საჭიროებად სთვლიან ჩემი მოპირდაპირენი სამედიატორო სამართალს, მეც თანახმა ვარ. აირჩიონ მათ მედიატორეები და მეც შემდეგ დავასახელებ ჩემ მედიატორეებს.

დიდი-ჯიხაიშის მეაფთიაქე

**ბესარიონ ჩომახიძე**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ივლისი

**რ უ ს ე თ შ ი.**

**სარატოვი.** სად. რტიშევოს მახლობლად უცნობები სოფლის ეკკლესიას დაეცნენ, დარაჯი დასჭრეს, ეკკლესიაში შევიდნენ, სანთლის ყუთი გასტეხეს და ფული დაიტაცეს.

**ხარკოვი.** სადგურზე უცნობებმა დასჭრეს ჯარის კაცი, რომელიც სამხედრო მატარებელს დარაჯობდა.

**ლოძი.** გულჩანსკის ახლო სოფელში მოჰკლეს მუშა კაცი და ქალი.

**ვიაზნიკი.** მოვიდა ავტომობილით თავ. ბორგეზე.

**ჰელსინგფორსი.** არ შეიწყნარეს შარშანდელი სეიმის პეტიცია, რომ გენერალ-გუბერნატორის და სტატს-სეკრეტრის კანცელარიაში მოხელეებად მარტო ფინები იყვნენ.

**ასხაბადი.** კიზილ-არვატში უცნობებმა სასიკვდილოდ დასჭრეს უბნის ზედამხედველი, მსუბუქად—კაზაკი და პოლიციელი.

**ვლადიმირი.** დილით ადრე თავადი ბორ-

---

უნდა ჩაითვალოს. ერთ მათგანს, რომელსაც ჯერ მთლად არ დაბნელებია თავში მზე, მე ძლიერ უყვარვარ და ამას წინად, მარტოკა რო ვიყავით, კარები დახურა და დაბალი ხმით მითხრა: „სულელო, თავი ბრძენი გგონია და ძუძუ-მწოვაბალღის ოდენი ჭკუაც არა გაქვს! განა რა არ იცი, რომ ამ ქვეყნის მფლობელნი მხოლოდ იმას აამაღლებენ, ვინც თავს იმდაბლებს და იმათ სისხლს თავისაზე უფრო უქებს. შენ კი, ვითომდა გულ-წრფელობისა გამო, თავი გაიფუჭე. რა გიჭირს მადლიერი, ნეტარი თვალები გაიკეთო, წყნარადა და მორჩილად გულზე ხელები დაიკრიფო, ღვთის ცხოვარსავით დაბლა თავი ჩამოჰკიდო და სახარებიდან გაზეპირებული სიტყვები წარმოსთქვა! დამიჯერე, რადგან უღვთო ხარ, არც ერთი მათი ბრწყინვალება არაფერს არ მოგცემს, სიყვარულის მსახურნი შეგიძულებენ, გაგათრევენ და გაგაწბილებენ, და ვერც ამ საქაოს და ვერც იმ საიქიოს რიგიანად ვერ მოეწყობი!"

ახ, ეგ ყველა მართალია! მაგრამ რა ვქნა, რომ, საუბედუროდ, გონიერების ტრფიალი ვარ! მიყვარს, თუმც იგი თავის თანაგრძნობას არ მაღირსებს ხოლმე. მისთვის შემიწირავს ყოველისფერი, ის კი ყურადღებას არ მაქცევს. მე მას ვერ მოვეშვები და როგორც ერთ დროს ებრაელმა სოლომონმა ქებათა-ქებით შეამკო ქრისტეს ეკკლესია შავ-გვრემანი, სიყვარულით აღგზნებული ქალწულის პირით, რათა ამნაირად თავისი ებრაელებისათვის თვალი აეხვია, ამნაირადვე მეც ურიცხვი ლექსით სულ წინაღმდეგი შევამკე, სახელდობრ გონიერება, თეთრ-ყირმიზა, ცივი ქალის პირით, რომელიც თან მიზიდავს და თან პირს მარიდებს, ხან მიცინის, ხან მიჯავრდება და ბოლოს ზურგს მიქცევს. ეს ჩემი უბედური სიყვარულის საიდუმლო ჯერ არავისთვის არ გამიმხელია. ჩემი სისულელის საზომად შეგიძლიათ იხმაროთ, ქალბატონო, და შეიტყოთ რა გასაოცარი თვისებისაა ეს ჩემი სისულელე, ამ ქვეყნის უჭკუოთა შორის ბუმბერაზივით ამართული. წაიკითხეთ ჩემი რატკლიფი, ჩემი ალმანსორი, ჩემი ლირიკული ინტერმეცცო:—გონიერებაა, ცარიელი გონიერება და სხვა არაფერი! შიშით უკან დაიწევთ კიდევაც, იმ სიმაღლეე ჩემი სისულელე. იაკეს შვილთან აგურთან ერთად შემიძლია მეცა ვთქვა: „მე ვარ ყოვლად უგუნური და ადამიანის ჭკუა არა არს ჩემთანა!" მაღლა აშოლტილია მუხნარი ტყე; მუხნარზე მაღლა აეშვა არწივი, არწივზე მაღლა დაცურავენ ღრუბლები, ღრუბლებზე მაღლა ჰკამკამებენ ვარსკლავები... ძრიელ ხომ არ გემაღლებათ, ქალბატონო? eh bien!—ვარსკვლავებზე მაღლა დაჰფრენენ ანგელოზები და ანგელოზებზე მაღლა ასულია... არა, ქალბატონო, ამაზე მაღლა ვეღარ აღწევს ჩემი სისულელე; ისეც კარგა ამაღლებულია. თითონ იმას თავბრუ ესხმება თავისი სიმაღლისაგან. შუადღე რომ დადგება, ასე მგონია, რომ მთელი ინდოეთის სპილოები შემიძლია დავღეჭო და მერე სტრასბურგის სობოროთი კბილები ამოვიწმინდო; საღამოზე ისე ვნაზობ, რომ ზეცაზე რძის გზების შეხვრეპა მომინდება ხოლმე, იმას კი არ ვფიქრობ, რომ უძრავი ვარსკვლავები მოუნელებელი დამრჩებიან სტომაქში; ღამე კი გაჩაღდება წარმოდგენა; ჩემ თავში მაშინ ყველა აწმყო და წარსულ ხალხთა კონგრესი აქვთ გამართული: შემოდიან ასსირიელები, ეგვიპტელები, მიდიელები, სპარსელები, ებრაელები, ფილისტერები, ფრანკფურტელები, ბაბილონელები, კართაგენელები, ბერლინელები, რომაელები, სპარტანელები, თათრები... შორს წავა, ქალბატონო, ყველანი რომ ჩამოვთვალო; წაიკითხეთ ჰეროდოტი, ლივიუსი, ჰაუდესი და შპენერის გაზეთი, კურციუსი, კორნელიუს ნეპოსი, „საზოგადო უწყებანი". ამ დროს კი მე საუზმეს შევექცევი, თორემ ამ დილას წერა როგორღაც თავისუფლად და მხიარულად არ მეხერხება; ვატყობ, რომ მოწყალე ღმერთს გასაჭირში აღარ ვახსოვარ. ვშიშობ კიდევაც, ქალბატონო, რომ თქვენ ეგ ჩემზე ადრე შენიშნეთ.—დიახ, ვიცი, რომ დღეს ღმერთს ნამდვილი თავისი წყალობა არ მოუვლენია ჩემზე.—ქალბატონო. ახალ თავს დავიწყებ და გიამბობთ, როგორ დავბრუნდი მე გოდესბერგში Le-Grand'-ის სიკვდილის შემდეგ.

### თავი XVI

გოდესბერგს რომ მივედი, ისევ ჩემ საყვარელ მეგობარ ქალს ფეხთით დაუჯექი;—გვერდით მომიწვა იმისი წითელი ფინია და ორივენი ჩვენ საყვარელ არსებას თვალებში შევცქეროდით.

ღმერთო დიდებულო! ამ თვალებში მთელი ქვეყნის მშვენიერება იხატებოდა და ზედ-მეტად კიდევ მთელი ზეცა. ამ თვალებში რომ ვიყურებოდი, ნეტარებისაგან კინაღამ მოვკვდი, და იმ წუთში რო მომკვდარვიყავი, ჩემი სული პირდაპირ ამ თვალებში შეფრინდებოდა. ოჰ, მე ვერ ავწერ იმ თვალებს—საგიჟედან სიყვარულისაგან შეშლილ პოეტს მოვაყვანინებ და ის თავის სიგიჟის უფსკრულიდან იმ სურათს აღმოიყვანს, რომელსაც ამ თვალებს შევადარებ. ჩვენ შორის დარჩეს, და თვითონ მე იმდენად შეშლილი ვიყავი, რომ სხვისი მოხმარება არ მჭიროდა. „God d—n!" თქვა ერთმა ინგლისელმა; „ვისაც ის ასე წყნარად თავით-ფეხამდის გადახედავს, ფრაკზე თითბრის ფოლაქებს და საგულეში გულს დაუდნობს". „F—e!"—თქვა ერთმა ფრანგმა: „უდიდესი კალაპოტის თვალები აქვს და იქიდან რომ ოცდაათ გირვანქიან ყუმბარას გამოისვრის, კრახ!—გათავდა საქმე: შენ უკვე შეყვარებული ხარ!" იყო ერთი წითელ თავიანი მაინცელი ვექილი, რომელმაც ბრძანა, თვალები ორ ფინჯან ყავას უგავსო. ეგონა, რომ ერთობ ტკბილი სიტყვები სთქვა, რადგან ყოველთვის თავის ყავაში უმოწყალოდ ბევრ შაქარს ჰყრიდა.—ცუდი შედარებაა!

მე და წითელი ფინია წყნარად ვიწექით მშვენიერ ქალის ფეხებთან, უყურებდით და უსმენდით მას. ის გვერდით უჯდა თოვლივით გათეთრებულ მელოტს, რომელსაც რაინდული შეხედულობა ქონდა და დალარულ შუბლზე ღრმა ჭრილობები უჩანდა. ისინი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ იმაზე, თუ რა ლამაზია ჩამავალი მზისაგან მშვენიერად განათებული შვიდი გორის ზურგი და მათ წინ დიდებულად და წყნარად მიმდინარე ცის-ფერი რეინი. რა გვნაღვლებოდა ჩვენ ან შვიდი გორის ზურგი, ან ჩამავალი მზე, ან ცისფერი რეინი და ზედ მცურავი თეთრ აფრიანი ნავები, ან ის მუსიკა, რომელიც ერთი ნავიდან მოისმოდა, ან ის ცხვრის-თავიანი სტუდენტი, რომელიც შიგ საყვარლად, ტკბილად გალობდა... მე და წითელი ფინია, ჩვენ ორივენი მეგობარ ქალს თვალებში უცქეროდით, უყურებდით იმის სახეს, რომელიც ხუჭუჭა თმებიდან და ნაწნავებიდან მკრთალ ვარდის ფრად გამონათებდა, როგორც შავ ღრუბლებიდგან მთვარე.—მაღალი ბერძნული სახის მოყვანილობა, გაბედულად გამოკვეთილი ტუჩები, რომელთაც დაკრთოდა სევდა, ნეტარება და ბავშური ცელქი შუქი; რომ დაილაპარაკებდა, ნაზი სულთქმა-ნარევი სიტყვები თითქო გულის სიღრმიდან ამოკვნესოდა და ამ სიტყვებს ჩქარა, მოუთმენლად წამოისვროდა ხოლმე... რომ დაილაპარაკებდა, სიტყვებს თბილ, ქორფა ყვავილებსავით აწვიმებდა მშვენიერ ტუჩებიდან. ოჰ! მაშინ ჩემ სულს ჩამავალი მზის შუქი ეფინებოდა; ბავშვობის მოგონებანი მხიარული თამაშით იღვიძებდნენ ჩემ სულში, ყველაზე მაღლა კი იქ პატარა ვერონიკას ჟღარუნა ხმა ისმოდა... და მე მეგობრის ლამაზ ხელს დავეკონე, თვალებზე ივიკარი და ასე მეჭირა, სანამ ჩემ სულში ჟღერა არ გაივლიდა... მერე კი წამოვხტი, გავიცინე, ფინიამ დაიყეფა, მოახუცე გენერალს უფრო ღრმად ჩაეკეცა შუბლი და მე ისევ დავჯექი, ისევ დავეკონე ლამაზ ხელს, ვკოცნიდი და ვეუბნებოდი პატარა ვერონიკას ამბავს.

ი. ნაკაშიძე.

(დასასრული იქნება)

